



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100152707725117

თბილისი

25 / სექტემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 01/1139

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოხელეთა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/778 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოხელეთა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/778 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 04/11/2013, სარეგისტრაციო კოდი 010320040.22.055.016035) დამტკიცებულ „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოხელეთა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ (შემდგომში - „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სპორტის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება;

გ) შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

დ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft office word - კარგი, Microsoft office excel - კარგი, Microsoft office outlook - კარგი);

ე) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა (წერითი B 1, მეტყველება B 1);

ვ) სასურველია დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემაში („დეს“) მუშაობის გამოცდილება;

ზ) სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება.

5. სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;

გ) შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

დ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft office word - კარგი, Microsoft office excel - კარგი, Microsoft office outlook - კარგი);

ე) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა (წერითი B 1, მეტყველება B 1);

ვ) სასურველია დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემაში („დეს“) მუშაობის გამოცდილება“.

2. „საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5¹ პუნქტი:

„5¹. სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცოდნა:

ბ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ბ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

ბ.დ) საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;


ბ.ე) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft office word - კარგი, Microsoft office excel - კარგი, Microsoft office outlook - კარგი);

დ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა (წერითი B 1, მეტყველება B 1)“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters. The signature is written over a horizontal line. The letters are fluid and interconnected, with a prominent loop at the end.

ტარიელ ხეჩიკაშვილი